საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 2 20 00168073

22/01/2020

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 17 იანვრის N60-01200173825 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტმა განიხილა ქალაქ თბილისში, სანდრო ეულის ქუჩა N5-7-ში, არსებულ ნაკვეთზე (ს/კ 01.14.05.007.217) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის "ბ" ბლოკის შენობის არქიტექტურული პროექტის სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, შესამუშავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები, კერძოდ:

1. შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინდეს სახანძრო ჰიდრანტების მოწყობა. (აისახოს დაპროექტების დოკუმენტაციაში)

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

საფუძველი: SP 8.13130.2009 პუნქტი 5.3 ცხრილი 2 ; პუნქტი 8.6; 8.10

2. ვინაიდან, მიწისქვეშა ავტოსადგომში, კიბის უჯრედების და ლიფტის შახტების შესასვლელებში მოცემულ ტამბურ-რაბებში გაურკვეველია ჰაერის დაწნევის სისტემის მოწყობის საკითხი, აღნიშნულ ტამბურ-რაბებში გათვალისწინდეს ჰაერის დაწნევის სისტემების მოწყობა.
საფუძველი: SP 154.13130.2013 პუნქტი 5.2.10

3. შენობის საევაკუაციო გზებზე, (როგორც ავტოსადგომში, ასევე საოფისე და საცხოვრებელ ნაწილში) გათვალისწინდეს, საევაკუაციო განათებების მოწყობა.
საფუძველი: ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების ქვეპუნქტი 1006.1; SP 52.13330.2016 პუნქტი 7.6.3;

4. ვინაიდან, შენობაში მოსაწყობი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები საჭიროებს სათადარიგო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფას, ამ სისტემებისათვის გათვალისწინდეს, გენერატორის სათავსოს მოწყობა, ამასთან ერთად დაცული უნდა იქნეს SP 4.13130.2013 პუნქტი 6.9.18-ის მოთხოვნა. (აისახოს დაპროექტების დოკუმენტაციაში).

5. ვინაიდან, სამშენებლო დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტების შემუშავების გზით, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, სამსახურს აუცილებლად მიაჩნია შემუშავებული იქნას შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია და დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;
დ) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;
ე) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციისა და დაწნევის სისტემების მოწყობის პროექტს;
ვ) ხანძარსაწინააღმდეგო დანაყოფების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ლიფტების მოწყობის პროექტს;
ზ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტს;
თ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;
ი) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის სისტემის მოწყობის პროექტს;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო სრულყოფილი კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია, წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა

და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200233764**
თარიღი: **23/01/2020**
პინი: **4043**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 17 იანვრის #60-01200173782 წერილი (AR1727692), რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სანდრო ეულის ქ. #7 ს.კ.: 01.14.05.007.217 ფუნქციური ზონა: სსზ-1), შპს „ტეტრისის“ საკუთრებაში არსებულ სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, IV კლასის მრავალფუნქციური არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ სამსასსურმა **2019 წლის 16 ოქტომბრის #18-0119289389 წერილით უკვე დააფიქსირა პოზიცია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.**

დანართის სახით გიგზავნით სამსახურის გადაწყვეტილებას.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

დანართი : 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-0119289389**
თარიღი: **16/10/2019**
პინი: **1050**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 04 ოქტომბრის #60-01192772251 წერილი (AR1668390) და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ ს. ფიცხელაურის საექსპერტო დასკვნა; ტოპო.გეგმა; შპს „ტაქსაციას“ თანხმობა ხეების გადარგვის თაობაზე; გამწვანების პროექტი), რომლითაც ითხოვთ, მოქალაქე დავით ფანჯაკიძის მომართვის საფუძველზე ქ. თბილისში, ქუჩა სანდრო ეული #7; ქ. თბილისი, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V, ქუჩა სანდრო ეულის #5 (ს.კ. #01.14.05.007.217)(სსზ-1) არსებულ მიწის ნაკვეთში, IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, მწვანე ნარგავებთან და გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

„ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი“) მე-2 თავის, მე-7 მუხლის, მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას/გადარგვას. გამომდინარე იქიდან, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას ხელს უშლის 12 ძირი ხილ-კენკროვანი მცენარე (#5; 6; 7; 8; 9; 62; 73; 75; 82; 83; 85; 87), რომელთაგან, 11 ძირის დიამეტრი აღემატება 12 სმ-ს, მათი მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

მწვანე ნარგავების გადარგვასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ დადგენილების მე-2 თავის 21-ე, 21^1-ე და 21^2-ე მუხლების შესაბამისად, ვინაიდან, სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები ჯანსაღი ეგზემპლარებია, ექვემდებარება გადარგვას, რაც დასტურდება ექსპერტის მიერ, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მწვანე ნარგავების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, სამსახური გასცემს ქ. თბილისში, ქუჩა სანდრო ეული #7; ქ. თბილისი, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V, ქუჩა სანდრო ეულის #5 (ს.კ. #01.14.05.007.217) არსებულ მიწის ნაკვეთში 1 ძირი იფანის (2-22,3სმ), 1 ძირი ჩვ. თელას (#1-44,1სმ), 6 ძირი კაკლის (#64-12,4სმ; #67-8,4სმ; #68-9,1სმ; #71-16,4სმ; #72-16,1სმ; #74-28,4სმ), 6 ძირი დიადი ბოყვის (#76-17,9სმ; #77-21,3სმ; #78-26,5სმ; #79-12,7სმ; #80-13,1სმ; #81-16,5სმ) და 3 ძირი ელდარის ფიჭვის (#84-51,2სმ; #86-42,3სმ; #88-50,3სმ) იმავე ტერიტორიაზე გადარგვაზე ნებართვას, მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

აქვე გაცნობებთ, რომ ვინაიდან, სამშენებლო სამუშაოებს ასევე ხელს უშლის ტერიტორიაზე არსებული 5 ძირი ამორტიზირებული და ზეხმელი მწვანე ნარგავებიი, კანონის მე-6 მუხლის, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ’’ ქვეპუნქტისა და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური გასცემს ქ. თბილისში, ქუჩა სანდრო ეული

#7; ქ. თბილისი, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V, ქუჩა სანდრო ეულის #5 (ს.კ. #01.14.05.007.217) არსებულ მიწის ნაკვეთში 2 ძირი ამორტიზირებული ალვის ხის (#3-48,1სმ; #4-120,6სმ), 2 ძირი ამორტიზირებული ტირიფის (#69-130,7სმ; #70-120,5სმ) და 1 ძირი ზეხმელი იფანის (#63-25,9სმ) მოჭრის ნებართვას, როდესაც განმცხადებელი წარმოადგენს სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვასა და საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვისა და მომსახურების თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ დადგენილების მე-3 თავის, 26^1-ე მუხლის შესაბამისად, საკომპენსაციო რგვის ფარგლებში მესაკუთრეს ევალება 5 ძირი ნერგის დარგვა (ალვის/ვერხვის, კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვის გარდა), რომელიც უნდა დაირგოს იმავე ტერიტორიაზე. საკომპენსაციო რგვის ვალდებულება მოიცავს, როგორც ნერგის დარგვას, ასევე მის შემდგომ მოვლა-პატრონობას დარგვიდან სამი წლის განმავლობაში (წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი, დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი).

რაც შეეხება წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე არსებული 72 ძირი (17 ძირი გადასარგავი) ჯანსაღი მწვანე ნარგავი და 5 ძირი საკომპენსაციოდ დასარგავი მცენარე, სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (1069 კვ.მ).

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

ასევე, მოგახსენებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი